# ქალაქ ბათუმის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო
# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-15. 15240867**

თარიღი:**26/03/2024**

**„ქალაქ ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ივნისის №გ-15.15231787 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თობაზე**

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. „ქალაქ ბათუმში, გარკვეულ ტერიტორიებზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ივნისის №გ-15.15231787 განკარგულებაში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

ა) განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფცია ჩამოყალიბდეს ამ განკარგულებაზე თანდართული რედაქციით;

ბ) განკარგულებას მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი რედაქციის $2^1$ პუნქტი:

„$2^1$. კანონმდებლობით გათვალისწინებული მაკომპენსირებელი ღონისძიება განისაზღვროს საპროექტო მიწის ნაკვეთებზე დაგეგმილი მშენებლობის (შეთანხმებული პროექტის მიხედვით გადამეტებული) $კ^{1/2}$ მაჩვენებლის 10%-ს ოდენობით საცხოვრებელი ფართობით ან იგივე ოდენობის სხვა მაკომპენსირებელი ღონისძიებით.“.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი